აჭარის წყლის ალიანსი

N 163
11/10/2022

163-01-2-202210111531

https://edocument.ge/AdjaraGov/public

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ ლევან ზოიძეს**

**თემა: დაბა ოჩხამურში დაგეგმილი #5 ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის დარეზერვება და დაცვა**

**ბატონო ლევან**

როგორც იცით, რომ გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით) ხორციელდება დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა აჭარაში, რომელიც ეხება აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში #5 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 4 აგვისტოს #21/4154 წერილით გადმოგზავნილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 2 აგვისტოს „ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში სს „აჭარის წყლის ალიანსის" გამწმენდი ნაგებობის (N 5) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე დასკვნის გაცემის შესახებ" #224/ს ბრძანებისა და #43 სკოპინგის დასკვნის მოთხოვნის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა წარედგინოს **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში** ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობისთვის **ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის #5 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის** არეალისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მოთხოვნის შესაბამისად **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია და ასევე გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რადგან საპროექტო ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ამიტომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ წერილობით დაგვიდასტუროთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტი თანახმაა პროექტით განსაზღვრულ ნაკვეთებზე მოხდეს გამწმენდი

www.awa.ge

ნაგებობების მოწყობა და ასევე რომ უზრუნველყოფთ, მიიღოთ ყველა საჭირო ზომა აღნიშნულ ტერიტორიებზე ნაკვეთების დარეზერვებისა და დაცულობის მიზნით, რათა არ შეიზღუდოს მისი ხელმისაწვდომობა.

*დანართები:*

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 4 აგვისტოს #21/4154 წერილი;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 2 აგვისტოს „ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში სს „აჭარის წყლის ალიანსის“ გამწმენდი ნაგებობის (N 5) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე დასკვნის გაცემის შესახებ“ #224/ს ბრძანება;
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს #43 სკოპინგის დასკვნა;
4. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში N 5 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის შეიფ-ფაილების ელექტრონული ვერსია;

**პატივისცემით,**

თეიმურაზ ბედინაძე

დირექტორი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **114-11422306133**
თარიღი: **02/11/2022**

**ადრესატი:** სს "აჭარის წყლის ალიანსი"

სს „აჭარის წყლის ალიანსი"-ს დირექტორს

ბატონ თეიმურაზ ბედინაძეს

ბატონო თეიმურაზ,

თქვენი 2022 წლის 11 ოქტომბრის N163 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტი არ არის წინააღმდეგი პროექტით გათვალისწინებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოეწყოს დაბა ოჩხამურში N5 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.
დამატებით გაცნობებთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტი მიიღებს შესაბამის ყველა საჭირო ზომას აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაკვეთების დარეზერვებისა და დაცულობის მიზნით, რათა სამომავლოდ არ შეიზღუდოს მისი ხელმისაწვდომობა.

დავით ვერულიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6200 ქალაქი ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზ. N141 ტელ: 0426 26 72 09
EMAIL: KOBULETIMUNICIPALITY@GMAIL.COM